



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის ბიზნესი

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2023 წლის სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.7% შეადგინა, ხოლო აგვისტოსთან შედარებით ფასებმა 0.6%-ით მოიმადა.

საქართველოში დაბალ ინფლაციას მსოფლიო ბაზარზე საქონლის და ტრანსპორტირების ფასების შედარებითი სტაბილურობა, ლარის გაცვლითი კურსის მყარი პოზიცია და მკაცრი მონეტარული პოლიტიკა განაპირობებს. ბოლო პერიოდში საწვავის ფასების სწრაფი ზრდა სექტემბრის ინფლაციაზე მხოლოდ ნაწილობრივ აისახა. მოსალოდნელია, რომ დანარჩენი ზრდა ოქტომბრის ინფლაციაზე აისახება, თუმცა ჯამური ინფლაცია კვალავა მნიშვნელოვნად დაბალი იქნება 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე.

თვის ინფლაცია 0.6% (წლილი)



წლიური ინფლაცია 0.7% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ფასების საერთო ღონეზე ყველაზე დიდი გავლენა ბენზინის და ღიზელის ფასების შესაბამისად, 7.6% და 5.9%-იან ზრდას ჰქონდა, რამაც თვის ინფლაცია ჯამში 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა. სხვა პროდუქტებიდან გამოსარჩევაა მეცნილად სეზონური ფაქტორების გამო ყველის გაძვირება და ზოგიერთი ხილისა და ბოსტნეულის გაიაფება.

ბოლო პერიოდში საწვავის ფასების მატების მიუხედავად, სექტემბერში გასული წლის სექტემბერთან შედარებით ბენზინის ფასები ჯერ კიდევ 13.3%-ით, ხოლო ღიზელის ფასები 23.5%-ით იყო შემცირებული, რაც წლიურ ინფლაციას ჯამში 0.7 პპ-ით ამცირებდა.

სურსათის ფასები საერთო ჯამში თითქმის გასული წლის ღონეზე იყო. სადაც ძროხის ხორცი, კარტოფილი და მწვანილი ინფლაციას ჯამში 1.0 პპ-ით ზრდიდა, ხოლო მზესუმზირის ზეთი და პური ამდენითვე ამცირებდა. დანარჩენი პროდუქტებიდან გამოსარჩევი სამომხმარებლო კალათაში შესული ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტების გაიაფება იყო, რაც ჯამში ინფლაციას 0.8 პპ-ით ამცირებდა, ხოლო გაზრდილი საბანკო მომსახურების და ბინის დაქირავების ღირებულება ინფლაციას შესაბამისად, 0.4 პპ-ით და 0.2 პპ-ით ზრდიდა.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს 2.5%-ს შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯამური წლიური მთლიანი ინფლაციაში





წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

დაბალ ინფლაციას იმპორტირებული და შერეული საქონლის დეფლაცია განაპირობებს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების და ტრანსპორტირების ფასების შედარებით სტაბილურობასთან ერთად ლარის გაცვლითი კურსის მყარი პოზიცია უწყობს ხელს. სექტემბერში იმპორტირებული და შერეული საქონლის წლიური შესაბამისად, 4.1% და 2.9%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ გასულ თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით მოიკლო, და 5.3%-ს შეადგენს. წინა თვესთან შედარებით ადგილობრივი ინფლაციის შემცირება მეცნილად ზოგიერთი მომსახურებისა და სურსათის საბაზო ეფექტის ამოწურვის ხარჯზე მოხდა. ჯერ კიდევ შედარებით მაღალ ადგილობრივ ინფლაციას მომსახურების წლიური გაძვირება (8.2%) განაპირობებს. **მომსახურების წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 4.4 პპ-ია.** თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში მაღალი წვლილი აქვს საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.6 პპ მომსახურების ინფლაციაში) და გასულ წელს უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მადების შედეგად გაზრდილ ბინის დაქირავების ღირებულებას (0.9 პპ მომსახურების ინფლაციაში).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2023 წლის წონები	სექ23/აგვ23		სექ23/სექ22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.6%	0.6%	0.7%	0.7%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	-0.2%	-0.1%	0.4%	0.1%
სურსათი	30.9%	-0.3%	-0.1%	0.2%	0.0%
პური და პურიპროდუქტები	6.1%	0.0%	0.0%	-8.3%	-0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.1%	0.0%	5.7%	0.4%
თევზი	0.5%	-1.0%	0.0%	7.1%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	3.5%	0.2%	-1.3%	-0.1%
ზეთი და ცხიმი	2.6%	1.3%	0.0%	-24.5%	-0.7%
ხილი, ყურძენი	1.6%	-5.0%	-0.1%	5.2%	0.1%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	-6.0%	-0.2%	27.9%	0.7%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	0.0%	0.0%	0.2%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-1.2%	0.0%	-4.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.2%	0.0%	2.9%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	-0.4%	0.0%	5.6%	0.4%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	0.7%	0.0%	-1.5%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.1%	0.0%	5.1%	0.4%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	0.3%	0.0%	-0.7%	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.7%	0.1%	-4.7%	-0.5%
ტრანსპორტი	12.3%	2.6%	0.3%	-4.3%	-0.6%
კაპიტალური მშენებლობა	3.6%	-0.3%	0.0%	-3.0%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	0.4%	0.0%	-4.8%	-0.2%
განათლება	4.4%	5.5%	0.2%	4.9%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.3%	0.0%	7.0%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.3%	0.0%	10.0%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	0.4%	0.3%	-1.4%	-0.9%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	0.9%	0.1%	-2.2%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.6%	0.0%	-7.1%	-0.4%
მომსახურება	24.4%	1.3%	0.3%	8.2%	2.0%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


აგვისტოში, საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 6.1 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 0.2 მლრდ ლარით გაიზარდა) და 47.9 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 14.6%-ით გაიზარდა, ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. აგვისტოში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიციო ვალდებულებები 516.2 მლნ ლარით (2.2%-ით) გაიზარდა და 24.0 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ვადიანი დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 287 მლნ ლარით შემცირდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 215.3 მლნ ლარით გაიზარდა.

სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 6.9% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.8%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით გაიზარდა და 1.4% შეადგინა. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, რაც დოლარის დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, რეზიდენტების აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 1.7%-მდე გაიზარდა. ლარის და ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად, 11.3% და 1.1% შეადგინა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით შემცირდა და 49.7%-ს შეადგენს. აგვისტოს ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით 66.6%-მდე შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით შემცირდა და 39.1% შეადგინა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით 61.8%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 14.6%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპმა წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით მოიმადა. აგვისტოში, ლარით დაკრედიტება წლიურად 14.5%-ით, 26.4 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.7 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 14.8%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.9 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხებით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით გაიზარდა. იპოთეკური სესხების წვლილი კი 0.3 პპ-ით შემცირდა. აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი 0.5 პპ-ით 21.8%-მდე გაიზარდა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი კვლავ მაღალ დონეზეა და მთლიან სესხების ზრდაში 3.7 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

სესხების წლიური ზრდის დინამიკა (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის დინამიკა; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 13.7% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 16.1%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.6%-მდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ავგისტოში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით შემცირდა და 13.4% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.9% შეადგინა. ავგისტოში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 9.0%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.4 პპ-ით 7.4%-მდე გაიზარდა.


ავგისტოში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით შემცირდა და 44.9%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 63.9%-ს შეადგენს, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით 29.1%-მდე შემცირდა. ავგისტოში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 46.0 მლნ ლარით გაიზარდა და 479.2 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 43.9% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი


2023 წლის ავგისტოში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 1.5%-ით შემცირდა და 778.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის კლება იმპორტის ზრდის დაბალ ტემპს უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 0.9%-ით 1,274.0 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 4.8%-ით გაიზარდა და 495.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი


საგარეო ბალანსი ძველებს მიხედვით (აგვისტო 2023)



წყარო: საქსტატი


იმპორტი - ავგისტოში საქონლის იმპორტი წლიურად 0.9%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეცესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო სახის საქონლიდან ზრდამ ყველაზე მეტი წვლილი მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა შეიტანა. ეს უკანასკნელი ასევე მნიშვნელოვნად, წლიურად 31%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, სამომხმარებლო საქონლიდან სამკურნალო საშუალებების, შაქრისა და შერეული საქონლის შემოტანა გაიზარდა, ხოლო მეორე მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების - იმპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია ასევე მაცივარი-საყინულეებისა და საცელეფონო აპარატების გაზრდილი იმპორტი. შუალედური სახის საქონლის იმპორტმა დაიკლო, რაც უმეცესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვნად შემცირებამ განაპირობა. მეორე მხრივ, შავი მეტალოკონსტრუქციების, რეზინის მილებებისა და მილგაყვანილობის იმპორტმა მოიმატა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეცესად საცვირთო ავტომობილების, ტრაქტორებისა და სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვებმა გაზარდა. მთლიანობაში, ავგისტოში წლიურად საქონლის იმპორტი რეალურად 23.2%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მატალი წვლილი შეიცანა აზერბაიჯანმა, რაც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე პორცლანდცემენტის შემოტანის მატებას უკავშირდება, თუმცა აზერბაიჯანიდან ნავთობის აირების შემოტანა შემცირდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა ნიდერლანდები, უმეტესად რეზინის მიღებისა და გამომთვლელი მანქანების მატალი შესყიდვების გამო. გერმანიიდან იმპორტის მატება მსუბუქი ავტომობილების, ტრაქტორებისა და საცვიროთო ავტომობილების, იტალიიდან რეზინის ფეხსაცმელების, ასევე სამკურნალო საშუალებების, შვედეთიდან საცელეფონო აპარატების, პოლონეთიდან სამკურნალო საშუალებებისა და ტრაქტორების ზრდამ განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთიდან საცვიროთო ავტომობილების, პნევმატური საბურავებისა და ჰაერის კონდენსირების მოწყობილობების, ბრაზილიიდან შაქრის, გაბონიდან მანგანუმის მადნებისა და კონცენცრაციების, ბელარუსიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საცელეფონო აპარატებისა და ბუქსირების მნიშვნელოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, რუსეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, სომხეთიდან, სერბეთიდან და ჩილედან სპილენძის მადნებისა და კონცენცრაციების, თურქეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მერქან-ბურბუშელის ფილებისა და სამშენებლო მანქანების, ხოლო რუმინეთიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


აგვისტოში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (29%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ აგვისტოში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის აგვისტოსთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქტების კატეგორიების მიხედვით (აგვისტო, 2023, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 212	სამკურნალო საშუალებები, 47	საქონლის აპარატები, 29	საქონლის აპარატები, 29
	საცვიროთო ავტომობილები, 17	ნავთობის აირები, 15	გამომთვლელი მანქანები, 14
	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 108	შაქარი, 17	სივარები, სივარები, 14
			შავი ლითონების მფლაკონ სტრუქტურები, 13

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (აგვისტო, 2023)




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - აგვისტოში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 4.8%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის მატება მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (27.4 კპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიტანა. გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენცრაციების და ქიმიური სასუქების ექსპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის უფრო მეტად ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერჯის ექსპორტმა აგვისტოში ზრდა გააგრძელა, ხოლო მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის გაყიდვებმა მნიშვნელოვნად მოიმატა. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლიდან სხვა საფრენი აპარატებისა და ძვირფასი ლითონების ნაკეთობების ექსპორტი შემცირდა, ხოლო ტრაქტორებისა და სპეციალიზირებული ავტომობილების ექსპორტმა მოიმატა. აგვისტოში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 8.8%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების მატებაში მალალი წვლილი შეიძლება სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც მსუბუქი ავტომობილებისა და სპირტიანი სასმელების, ხოლო აზერბაიჯანში მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუცყის გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. გარდა ამისა თურქეთში ექსპორტის მატება ელექტროენერჯისა და სხვადასხვა ტიპის ტანსაცმლის გაყიდვების ზრდამ განაპირობა, თუმცა ფეროშენადნობების ექსპორტი წლიურად კვლავ შემცირდა. **ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მალალი რექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვარ-ივლისის მსგავსად, აგვისტოში კვლავ დადებითი იყო.** აღსანიშნავია, რომ სამკურნალო საშუალებების მალალი ექსპორტის გამო, უზბეკეთთან კვლავ დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ერაყში მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუცყის, ეგვიპტეში სამშენებლო შემკვრელის მასალების, მაროკოსა და პერუში მინერალური და ქიმიური სასუქების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტის ზრდა შემცირდა. რუსეთში ექსპორტის კლება მსუბუქი ავტომობილების, ფეროშენადნობების, ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და სხვადასხვა სეზონური ხილის, უკრაინაში მსუბუქი ავტომობილების, ბულგარეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაყიდვებს კლებას უკავშირდება. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბელარუსში მსუბუქი ავტომობილებისა და თევზი-ხორცის გრანულების გაყიდვების შემცირება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 78% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


აგვისტოში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (38%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. მალალი იყო ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე სპირტიანი სასმელების და ყურძნის ნაცურალური ღვინოების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (14.8 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 1.6-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზე, სამკურნალო საშუალებებზე, სამშენებლო შემკვრელ მასალებზე, სამედიცინო აპარატურასა და ჰაერის კონდენცირების მოწყობილობებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჯამურად 4.9 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ფეროშენადნობების, სიგარეები-სიგარეტების, ქიმიური და მინერალური სასუქებისა და სხვადასხვა სეზონური ხილის ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (აგვისტო 2023, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 191	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 31		ყურძნის ღვინოები, 19	
	სპირტიანი სასმელები, 16	მსხვილფეხა რქოსანი პირუცყი, 13		მინერალური წყლები, 12
		ელექტროენერჯია, 14	სამკურნალო საშუალებები, 11	ცხვრები და თხები, 9

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (აგვისტო 2023)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - აგვისტოში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 14.1%-ით დაიკლო და 287.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 1.0%-ით 29.2 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები აგვისტოში წლიურად 46%-ით შემცირდა. აგვისტოში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად (54.9%-იანი ზრდა) გაიზარდა, ხოლო ყირგიზეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 63.9%-ით და 20.2%-ით. გარდა ამისა, თურქეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა მცირედით დაიკლო, ხოლო უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები წინა წლის მინიმალურ დონესთან შედარებით გაზრდილია. მაღალი ცემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (37.6%-ით). აგვისტოში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (41.1%), რუსეთი (21.0%) და აშშ (14.0%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (აგვისტო 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.5975-დან 2.6223-მდე (1.0%-ით) გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.8674-დან 2.8617-მდე (0.2%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6292 და 2.8621 შეადგინა. აგვისტოში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.6387, ხოლო მინიმალურმა 2.6106 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მრყეობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო კურსიდან თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


აგვისტოში საშუალოდ დოლართან მიმართებაში შესამჩნევია რუსული რუბლის, თურქული ლირის, ევროსა და ლარის გაუფასურება, მცირედით გამყარდა სომხური დრამი, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის აგვისტო; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. აგვისტოში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 8.3%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 21.6%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცვლდენციას, წინა თვესთან შედარებით, აგვისტოში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.4%-ით გაუფასურდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.7%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სსავაჭრო პარტნიორთაგან აგვისტოში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ევროზონაში, რუსეთში, აშშ-სა და ბელარუსში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - სომხეთში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები
(2023 წლის აგვისტო)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


აგვისტოში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 7¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად კონცენტრაცია გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 220.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 152.6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის აგვისტოსთან შედარებით 61.8 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 21.6%-ით, ხოლო წლიურად 21.3%-ით შემცირდა.


აგვისტოში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.0%) და 2,854.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 158.8 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 192.7 მლნ აშშ დოლარით შემცირებულია) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.9% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 110.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისდოში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, აგვისდოში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 36.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 174.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,468.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 122.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 18.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,386.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


აგვისდოში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 30.8 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 12.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) შემცირდა და 28.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 9.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისდოში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 0.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 5.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

პროვნილი ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

აგვისტოში სადეპოზიტო სერტიფიკატების ორი აუქციონი ჩატარდა და 20-20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატები გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი 20 მლნ ლარით გაიზარდა და აგვისტოს ბოლოს 80 მლნ ლარი შეადგინა.


აგვისტოში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 255.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. აგვისტოში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 85 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 148.4 მლნ ლარით გაიზარდა და 7,739.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 53.6%-ს კომერციული ბანკების, 30.1%-ს ეროვნული ბანკის, 11.7%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.6%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი მცირედით შეიცვალა. კერძოდ, აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.17 პპ-ით, 9.24%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.08 პპ-ით, 9.57%-მდე, გაიზარდა. ერთწლიანი და ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.12 და 0.14 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 9.33% და 8.41%-ს შეადგენდა. ასევე შემცირდა, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.07 და 0.04 პპ-ით, და შესაბამისად 8.31% და 8.08% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში, ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 636.0 მლნ ლარით, (წლიურად 2,069.3 მლნ ლარით შემცირდა) 9,182.7 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (67.6%), რომლის მოცულობაც თვიურად 31.1 მლნ ლარით (0.5%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 667.1 მლნ ლარით (29.0%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუტის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 10.16% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით გაიზარდა და 2.89% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოში, ფულადი ბაზრის რესურსის 32.0% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 67.7% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პარამეტრები

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 19.7 მლნ ლარით (0.3%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.5 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 32.2 მლნ ლარით (0.5%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 115.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა აგვისტოს განმავლობაში 110.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 5.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. აგვისტოში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 154.6 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 959.9 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აკრედიტაბი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე თვეში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 78.3 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით უცვლელია და 250.0 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ერთთვიანი სესხი არ გაცემულა და შესაბამისად მისი ნაშთი უცვლელია. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 134 მლნ ლარით შემცირდა და 24.7 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 134.8 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 214.5 მლნ ლარს გაუტოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვა არ ყოფილა.


აგვისტოში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 166.2 მლნ ლარით შემცირდა, უცხოური ვალუდის დეპოზიტების კლების გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 239.3 მლნ ლარით გაიზარდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუდის დეპოზიტების მატებამ განაპირობა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

